



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 31
02/09/2015

31-06-4-201509021638



დადგენილება N31
2015 წლის 2 სექტემბერი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „და“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში (ვებგვერდი, 31/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016206) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **482 800** ლარით;

კერძოდ:

- ა) გადასახადი საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - **35 000** ლარით;
- ბ) მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - **34 000** ლარით;
- გ) შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **229 800** ლარით;
- დ) შემოსავალი მიწის გაყიდვიდან - **184 000** ლარით;

შემცირდეს ხარჯვით ნაწილში:

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 -2.2.3.2.) – **10,0 ათ. ლარით;**

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 -2.2.3.9.) – **4,0 ათ. ლარით;**

ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყლის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 -2.2.3.12.2.) – **1,0 ათ. ლარით;**

ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 -2.2.10.6.) – 5,0 ათ. ლარით;

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 01 -2.2.3.12.3.) – 1,5 ათ. ლარით;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 01 -2.8.2.1.18.) – 0,9 ათ. ლარით;

კ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, ძირითადი აქტივების ზრდა, საცხოვრებელი შენობების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 02 05 -31.1.1.1.) – 64,0 ათ. ლარით;

ლ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 04 02 - 2.8.2.1.18.) – 31,1 ათ. ლარით;

მ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 05 01 01-2.2.10.14.) – 25,0 ათ. ლარით;

გაიზარდოს ხარჯვით ნაწილში:

ნ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის შეძენის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -01 02 -61.1.2.1.2.) – 10,0 ათ. ლარით;

ო) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სუბსიდიების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -02 01 -2.5.) – 8,7 ათ. ლარით;

პ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი -01 02 - 2.2.10.14.) – 9,0 ათ. ლარით;

ჟ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები (ორგანიზაციული კოდი -01 02 -2.2.3.3.) – 5,0 ათ. ლარით;

რ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯები (ორგანიზაციული კოდი -01 02 -2.2.4.) – 10,0 ათ. ლარით;

ს) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მივლინება ქვეყნის გარეთ (ორგანიზაციული კოდი -01 02 -2.2.2.1.) – 10,0 ათ. ლარით;

ტ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა კომპიუტერის შეძენის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -01 02 -61.1.2.2.3.) – 6,4 ათ. ლარით;

უ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა. პრინტერის, სკანერის და ასლგადამღების შეძენა (ორგანიზაციული კოდი -01 02 - 61.1.2.2.5) – 1,3 ათ. ლარით;

ფ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა. სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის კლასიფიცირებული (ორგანიზაციული კოდი -01 02 -61.1.2.2.20.) – 1,6 ათ. ლ

ქ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი -04 01 -2.5) – 20,8 ათ. ლარით;

ღ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა, სოციალური დახმარების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -06 02 07 – 2.7.2.1.) – 10,0 ათ. ლარით;

ყ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (ორგანიზაციული კოდი -03 04 – 2.8.2.2.) – 20,0 ათ. ლარით;

შ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდა კომპიუტერის შეძენის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -01 01 -61.1.2.2.3.) – 2,4 ათ. ლარით;

ჩ) კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები, სუბსიდიების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 02 03 -2.5.) – 50,0 ათ. ლარით;

ც) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 05 -2.2.10.14.) – 165,0 ათ. ლარით;

ძ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სოციალური დახმარება სასაქონლო ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 03 09 -2.7.2.2.) – 103,6 ათ. ლარით;

წ) გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 01 01 -61.1.1.5.) – 123,7 ათ. ლარით;

ჭ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, მიმდინარე რემონტის ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 03 -2.2.3.8.) – 12,6 ათ. ლარით;

ხ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 09 -2.8.2.2.) – 19,1 ათ. ლარით;

ჯ) წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა, არაფინანსური აქტივების ზრდა, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 -61.1.1.8.) – 35,0 ათ. ლარით;

ჰ) მუნიციპალური ტრანსპორტი, სუბსიდიების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 03 01 02 -2.5.) – 1,1 ათ. ლარით;

ჰ^ა) 15.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამას (პროგრამული კოდი 04 02) დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის მოსწავლე, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა (100%), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის


2015 წლის ბიუჯეტიდან წახალისების მიზნით ერთჯერადი გასაცემლის სახით მიიღებს 3000 (სამიათასი) ლარს, სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მფლობელი მოსწავლე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსდება 1000 (ათასი) ლარით სკოლის კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

სულ გაიზარდოს 482 800 ლარით

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო